# საქართველოს კონსტიტუციური კანონი

## საქართველოს კონსტიტუციაში დამატების შეტანის შესახებ

**მუხლი 1**

საქართველოს კონსტიტუციას (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1995, №№31-33, მუხ. 668) დაემატოს შემდეგი შინაარსის $104^2$ მუხლი:

**„მუხლი $104^2$**

საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება აღუდგეთ 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებში პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეულ იმ პარლამენტის წევრებს, რომელთაც საქართველოს პარლამენტის დადგენილებით უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდათ საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, თუ მათი ადგილმონაცვლეების უფლებამოსილება არ არის ცნობილი, და რომლებიც აღნიშნულზე თანხმობას განაცხადებენ 2010 წლის 1 იანვრამდე.".

**მუხლი 2**

ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების აღდგენის წესი განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით.

**მუხლი 3**

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პრეზიდენტი მ. სააკაშვილი**

**თბილისი,**

**2009 წლის 24 სექტემბერი.**

**№1675-IIს**